IP/11/643
ბრიუსელი, 25 მაისი 2011 წ.

ახალი და ამბიციური ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში /ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა კეტრინ ეშტონმა და ევროკავშირის კომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულემ ახალი და ამბიციური ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) დაწყების შესახებ გამოაცხადეს – რაც ადასტურებს ევროკავშირის მიერ თავის მეზობლებთან მტკიცე და მიზანმიმართულ თანამშრომლობის გაძლიერების სურვილს.

ევროპის საგარეო სამსახურისა და ევროკომისიის დღევანდელი შეთავაზება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ევროპის პარლამენტისადმი, განსაზღვრავს განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიის ძირითად პრიორიტეტებსა და მიმართულებებს, რომლის მიზანია ორმხრივი და რეგიონული ურთიერთობების გაძლიერება ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის, "მეტი თანხები – მეტი რეფორმების სანაცვლოდ" პრინციპით – რაც გულისხმობს მეტი დამატებითი ფინანსური სახსრების უზრუნველყოფას, მაგრამ გაზრდილი ორმხრივი ანგარიშვალდებულების სანაცვლოდ.

2011-2013 წლებისათვის უკვე გამოყოფილი 5,7 მილიარდი ევროს გარდა, სხვა არსებული რესურსებიდან გამოიყო დამატებითი დაფინანსება 1.24 მილიარდი ევროს ოდენობით და ეს თანხა ხელმისაწვდომი გახდება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მხარდასაჭერად.

გარდა ამისა, ევროკავშირის საბჭო დათანხმდა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელის /ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის წინადადებას, გაზარდოს ევროპის საინვესტიციო ბანკის დაკრედიტება სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოებისათვის 1 მილიარდი ევროთი იმავე პერიოდისათვის. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა მხარი დაუჭირა კეტრინ ეშტონის წინადადებას, რომ ბანკმა მოიცვას ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი, დაწყებული ეგვიპტით. მოსალოდნელია, რომ 2013 წლისთვის წლიური დაკრედიტების მოცულობა მიაღწევს დაახლოებით 2.5 მილიარდ ევროს წელიწადში.

"მაშინ როდესაც ჩვენი სამეზობლოს დიდი ნაწილი დემოკრატიული ცვლილებების პროცესშია, ასეთ განახლებულ მიდგომას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოდესმე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა გააკეთოს ამომწურავი შეთავაზება ჩვენი მეზობლებისთვის და ავაშენოთ გრძელვადიანი პარტნიორობა ჩვენს სამეზობლოში," განაცხადა **კეტრინ ეშტონმა**.

"დღეიდან ჩვენ ავამოქმედებთ ახლებურ მიდგომას - პარტნიორობას ხალხთა შორის ჩვენს სამეზობლოში - ღრმა დემოკრატიისა და ეკონომიკურო კეთილდღეობის

ხელშესაწყობისა და განვითარების მიზნით. ეს ყოველი ჩვენთაგანის ინტერესშია. ჩვენ ხელმისაწვდომს გავხდით დაფინანსებას ჩვენი მეზობელი ქვეყნებისათვის, რათა ხელი შევუწყოთ მათთვის სასურველი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას და ფეხი ავუწყოთ ამ რეფორმების ტემპს. ჩვენი მხარდაჭერა ეფუძნება პარტნიორობას და არა იძულებას. ეს ურთიერთობა ემყარება ურთიერთანგარიშვალდებულებას, რაც გულისხმობს რომ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მეორეს მოსთხოვოს შეთანხმებული მიზნებისა და ამოცანების შესრულება. "რთული ეკონომიკური სიტუაციის ფონზე და ევროკავშირის მხრიდან მოქმედების აუცილებლობის გათვალისწინებით, საჭირო იყო, რომ ჩვენი წინადადება ინოვაციური ყოფილიყო ასევე ფინანსურადაც და ამიტომ მე გამოვიჩინე ინიციატივა დამატებითი დაფინანსების მოსაზიდად ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD)," განაცხადა მან.

შტეფან ფულე ხაზგასმით აღნიშნავს: "ზოგიერთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფო, როგორც აღმოსავლეთ, ისე სამხრეთით, განიცდის ტრანსფორმაციას, რომლის შედეგადაც მათ სურთ გარდაიქმნან უფრო დემოკრატიულ და შეძლებულ საზოგადოებებად. ევროკავშირმა უნდა უპასუხოს ამ მიზანსწრაფვასა და ამბიციას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ახალი მიდგომის მეშვეობით, ჩვენი გამოცდილების გაკვეთილებისა და იმ გამოწვევების გათვალისწინებით, რომლებიც არსებობს ჩვენს სწრაფად ცვალებად სამეზობლოში.

ახალი მიდგომა გულისხმობს უფრო მაღალი დონის დიფერენციაციას, რაც ნიშნავს, რომ თითოეული პარტნიორი ქვეყანა განავითარებს კავშირებს ევროკავშირთან, საკუთარი მისწრაფებების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. მიდგომა ყველა ქვეყნის მიმართ სხვადასხვანაირი იქნება; ევროკავშირის მხრიდან მეზობლებისთვის დახმარების გაწევა წინაპირობების დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული. ეს დამოკიდებული იქნება წინსვლაზე დემოკრატიის და კანონის უზენაესობის პატივისცემის მშენებლობისა და განამტკიცების პროცესში. რაც უფრო სწრაფად მიაღწევს ქვეყნა წინსვლას შიდა რეფორმებში, მით უფრო მეტ მხარდაჭერს მიიღებს ის ევროკავშირისგან.

ჩვენ მზად ვართ, ხელი შევუწყოთ ამ უფრო ამბიციური მიზნების განხორციელებას გაზრდილი რესურსებითა და მეტი ხელშეწყობით. ჩვენ ასევე გვინდა, რომ ჩვენი დახმარების მიწოდება უფრო მოქნილი იყოს და უფრო სწრაფად პასუხობდეს ჩვენი სწრაფად ცვალებადი სამეზობლოს საჭიროებებს. ვიმედოვნებ, რომ ევროკავშირის ყველა ინსტიტუტი და წევრი სახელმწიფო შეძლებს მხარში ამოუდგეს ჩვენი წინადადებებს და ხელი შეუწყოს ამ ახალი მიდგომის განხორციელებას, რაც საერთო სარგებელს მოუტანს ევროკავშირსა და მის მეზობლებს".

განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში აქამდე არსებულ მიღწევებს, 2004 წელს მისი დაწყებიდან დღემდე, და ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების სწრაფვას მეტი თავისუფლებისა და უკეთესი ცხოვრებისაკენ. იგი სთავაზობს ახალი ტიპის მხარდაჭერას საზოგადოების უფრო მეტ კომპონენტის მიმართულებით და ნერგავს მეტ წამახალისებელ საშუალებას რეფორმების განხორციელებისათვის.

დღევანდელი შეტყობინება არის კულმინაცია იმ მრავალმხრივი განხილვებისა და კონსულტაციებისა რომლებიც მიმდინარეობდა მთავრობებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ ორგანიზაციებითან, როგორც ევროკავშირში, ასევე მის 16 პარტნიორ ქვეყანაში ევროპის სამხრეთითა და აღმოსავლეთით.

ის შემდგომ განვითარებას აძლევს "პარტნიორობას დემოკრატიისა და საერთო კეთილდღეობისათვის სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში", რომელიც შეთანხმებული იქნა 2011 წლის მარტში, და წარმოადგენს უშუალო პასუხს ამჟამად ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე ცვლილებებსა და დემოკრატიულ წინსვლაზე. იგი ასევე ემყარება 2009 წელს წამოწყებულ "აღმოსავლეთ პარტნიორობის".

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ MEMO/11/342